ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის სოციალური პროგრამების 2016 წლის 8 თვის შედეგების შესახებ

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან ,,სოციალური დაცვის“ მუხლში სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 553 ლარი, პირველი სექტემბრის მდგომარეობით სოციალური პროგრამებით გახარჯულია სულ 499,775 ათასი ლარი. მათ შორის:

- დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო -2400 ლარი და გაიხარჯა პროგრამის შესაბამისად 1600 ლარი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მონაწილე ოჯახების ერთჯერადი და ყოველთვიური დახმარება პროგრამით - 14 300 ლარი და გაიხარჯა 8200 ლარი, რაც შეეხება პროგრამის ხარჯს აღნიშნული კატეგორიისა და მეორე მსოფლიო ომისნ ვეტერანების სარიტუალო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 750 ლარი, პროგრამით გათვალისწინებულია 2000 ლარი, ხოლო უპატრონო მივალებულთა დაკრძალვის ხარჯმა შეადგინა 3250 ლარი (პროგრამა ითვალისწინებდა 3000 ლარს), 250 ლარით მეტი.
- ხანდაზმული (100 და ას წელს გადაცილებული) პირების დახმარებისთვის პროგრამით დასახული იყო 2400 ლარი, გახარჯულია 1200 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).

  8 თვის შედეგების მიხედვით მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის წლის განმავლობასი გათვალისწინებული 90 000 ლარიდან უკვე ხარჯმა შეადგინა 67 300 ლარი და გაეწია დახმარება 58 ოჯახს, ხოლო ბინის ქირით მოთხოვნით დაკმაყოფილებული 6 ოჯახი, (თვეში შეადგენს 600 ლარს).

  საანგარიშო პერიოდისატის მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ერთჯერად დახმარებაზე წლის პროგრამით გათვალისწინებული იყო 105 ათასი ლარი, ხოლო ხარჯმა შეადგინა 112 - ლარი, რაც პროგრამით გათვალისწინებულს აღემატება 7,450 ლარით (დაკმაყოფილდა 715 ბენეფიციარი).

  იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისთვის გათვალისწინებულია 11 ათასი ლარი, რვა თვის შედეგების მიხედვით ხარჯი შეადგენს 1450 ლარს, დარჩენილი თანხა მოხმარდება ბენეფეციარებს სათბობი შეშის შესაძენად და სხვა პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯებს (სათბობბი შეშის 200 ლარი).

  იმ პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 000-დან 200 000-მდეა სტაციონალური მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენაზე დახმარებისათვის წლის პროგრამით გათვალისწინებული 50 000 ათასი ლარი, ხოლო ამ რვა თვეში ხარჯმა კი შეადგინა 148 209 ლარი. აქედან სტაციონალურ მომსახურებაზე

გათვალისწინებულია 43 679 ლრი, ხოლო მედიკამენტების შედგენისათვის დახმარებამ შეადგინა 104 529 ლარი. პროგრამით გათვალისწინებულზე 98 209 ლარით მეტია ხარჯი (დაკმაყოფილდა 879 ბენეფიციარი).

ონკოლოგიურ დაავადებით დაავადებულტა სტაციონალურ სამედიცინო, მედიკამნტებით და კვლევით მომსახურებაზე პროგრამით გათვალისწინებული იყო 35 000 ათასი ლარი, გახარჯულია 27 038 ლარი, აქედან მედიკამენტების შეძენაზე 17 436 ლარი, ოპერაციებზე 7420 ლარი, ხოლო კვლევისათვის 2182 ლარი (დახმარება გაეწია 123 ბენეფიციარს).

ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარებისათვის გათვალისწინებული იყო 9000 ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის გახარჯულია 6000 ლარი, რაც შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სტაციონალურ სამედიცინო მომსაუხრებით და მედიკამენტების შეძენაზე ხარჯი 6500 ლარია, პროგრამით კი გათვალისწინებული იყო 12 000 ლარი, დარჩენილი თანხა შეადგენს 6500 ლარს.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა-მარჩენალდაღუპულთა პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯმა შეადგინა მხოლოდ 750 ლარი, პროგრამა კი ითვალისწინებს 5000 ლარს.

0-დან 18 წლამდე ასაკის პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 7161 ლარი, რაც პროგრამულს აღემატება 61 ლარს.

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირების დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს გახარჯულია 9750 ლარი, პროგრამით გათვალისწინებულია 13000 ლარი (თვეში 140 ლარი, თითოეულ ბენეფიციარზე ტრანსპორტირების ხარჯი).

გულის თადაყოლილი პათოლოგიით და ეპილეფსიით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა 16 000 ლარი, ხარჯი კი 11 350 ლარია.

0-დან 18 წამდე ასაკის შშმ პირების მედიკამენტების შესაძენად გაწეული ხარჯი არ აღემატება 1398 ლარს, მაშინ როცა პროგრამით გათვალისწინებულია 7000 ლარი (+5602 ლარი).

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ჩაერიცხა 33,287 ლარი, ხოლო ა(ა)იპ გურიის რეგიონის რეაბილიტაციის ცენტრს 3360 ლარი შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურებისათვის.

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკი) ოჯახების დახმარებისათვის გამოყოფილია 28 000 ლარი, ხარჯმა შეადგინა 15 825 ლარი (თითოეულ ბავშვზე 25 ლარი), ხოლო ახალშობილთა ოჯახების დახმარებაზე, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000 -ს, პროგრამით დასახული იყო 20,000 ლარი, ხარჯი შეადგენს 12 800 ლარს (ერთ ახალსობილზე 200 ლარი).

პროგრამით გათვალისიწნებული იყო ასევე 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი) 25200 ლარი, ხარჯი 13 130 ლარი (თვეში კომუნალური ხარჯი 30 ლარი, 70 ბენეფიციარზე გათვლა), შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა 56 ოჯახმა, რომლებიც სარგებლობენ ამ პროგრამით.

აგრეთვე დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება გატვალისწინებული იყო 8000 ლარი, გახარჯულია 3850 ლარი (+4150ლ), გარდა ამისა სოციალურ პროგრამებზე გამგეობის სარეზერვო ფონდიდან მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დასახმარებლად გახარჯულია 7000 ლარი.

ზემო აღნიშნულის გარდა სოციალური სამსახურის მიერ მოეწყო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსი დაღუპულთა მოსაგონებლად კულტურული და და სპორტული ღონისძიებანი, გვირგვინებით შეიმკო მათი საფლავები.

სამსახური კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს. განხორციელებულია პროგრამთ გათვალისწინებული სამუშაოები. განსაკუტრებით საშიში ეპიდემიურიმ დაავადებები მუნიციპალიტეტში არ გამოვლენილა.

სოციალური დახმარების საკითხი წყდება სამსახურის მიერ შესწავლის საფუძველზე. ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებზე მომხდარი ცვლილებები მოწმდება სისტემატიურად, რის საფუძველზეც ბენეფიციართა სიებში შედის შესწორებები (დანიშვნა, აღდგენა, შეწყვეტა).

სამსახურის მიერ საქართველოს თვაისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ (27 სექტემბერს ახაზეთის კომფლიქტი) მეომართა საფლავები 27 სექტემბერს შეიმკობა გვირგვინით, ხოლო მათ ოჯახებს გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოეწყობა სპორტული და კულტურული ღონისძიებები.